

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტი

სტრატეგიული გეგმა

მისია:

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი არის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) და უმაღლესი პროფესიული განათლების/დიპლომირებული სპეციალისტის სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს სოციალური, ეკონომიკური და იურიდიული მეცნიერების მიმართულებით.

ფაკულტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ფაკულტეტის დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე;

მიზნები და ამოცანები

1. ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.
2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:
 - ა) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;
 - ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების - ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის მართვისა და სამართალმცოდნეობის მიმართულებებით პროფესიული უმაღლესი განათლების, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;
- ბ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;
- გ) სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა.

ფაკულტეტის მისია მდგომარეობს იმაშიც, რომ სტუდენტების აკადემიური დონის მაქსიმალურ ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პარალელურად ხელი შეუწყოს სტუდენტური კონტინენტის სოციალიზაციის გაღრმავებას.

ფაკულტეტი სტუდენტებს მოუწოდებს ”სწავლისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში”. ამ მიზნის განსახორციელებლად ყოველგვარი პირობები შეექმნებათ იმათ, ვინც მოინდომებს აკადემიური კარიერის გაგრძელებას. შესაბამისი სამსახური ჩვენს კურსდამთავრებულებს დაეხმარება შრომის ბაზარზე საკუთარი ადგილის პოვნაშიც. ადმინისტრაცია ყველაფერს გააკეთებს მაღალკვალიფიცირებული და გამოცდილი კადრების შესანარჩუნებლად, განავითარებს მატერიალურ-

ტექნიკურ ბაზას, წახალისებს სტუდენტურ ინიციატივას, ორგანიზებას გაუკეთებს კულტურულ თუ შემეცნებით-გასართობ ღონისძიებებს.

ღირებულებები:

ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე, ამიტომ ყოველმხრივ ხელს შევეწყობთ სწავლისა და სწავლების ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მეცნიერული კვლევადიების ინტენსიფიკაციას და ახალგაზრდობის სოციალიზაციის გაღრმავებას.

ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები და მათი ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
20 წლიანი ისტორია	არასაკმარისი ფინანსური რესურსები
ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლები	პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რესურსების პრობლემა
ინსტიტუციური აკრედიტაცია	ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებებთან შეუსაბამობა
სტუდენტთა მზარდი რაოდენობა	ძველი სახელმძღვანელოები, პერიოდული გამოცემების (ჟურნალების) და კვლევითი მასალების ნაკლებობა
	ინტერნეტთან დაშვების ნაკლებობა
ECTS-თან და ბოლონიის პროცესთან შესაბამისობა	ზოგიერთ მოთხოვნად სპეციალობაზე კადრთა ნაკლებობა
იურიდიული კლინიკები	სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებების უქონლობა
სასამართლო საიმიტაციო დარბაზი	სუსტი ურთიერთობა საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან
რესურსცენტრი(ბიბლიოთეკითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით)	
ფოტო-ვიდეო სტუდია	
ფსიქოლოგიური სამსახური	
ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო	

საფრთხე	შესაძლებლობა
ზოგიერთი სპეციალობის პროგრამული აკრედიტაციისათვის მზადყოფნის პრობლემატურობა	ხელმძღვანელობა მზად არის მიიღოს წინადადებები ცვლილებებთან დაკავშირებით
ადამიანური და ტექნიკური რესურსების განახლებისთვის პირობების არარსებობა	სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან კვალიფიცირებული კადრების მოზიდვა
პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების კანონთან (ხარისხები, კვალიფიკაცია და დაფინანსება)	დოქტურანტურის გახსნა
	ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაცია
	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოკლე ვადიანი კურსების(სკოლების) გახსნა
	საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ერთობლივი

	სამაგისტრო პროგრამების მომზადება
	სასამართლო, საფინანსო-საბანკო და სინფორმაციო დაწესებულებებთან თანამშრომლობა

სტრატეგიული მიზანი:

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პერსპექტივიდან, მისიიდან, ღირებულებებიდან, ძლიერი და სუსტი მხარეთა ანალიზიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი მიზნების მიღწევა:

მიზანი 1: მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვა, ძლიერი აკადემიური და პროფესიანალური პროფილის უზრუნველყოფისათვის საჭირო ზომების მიღება.

კორდინაცია: ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ზომიერი წინადადება: უახლოეს პერიოდში, კერძოდ 3-5 წლის განმავლობაში, სტუდენტთა რაოდენობის სტაბილიზაცია და ამავე დროს ყველა სპეციალობაზე თუ სპეციალიზაციაში ჩასარიცხი კონტინგენტის ოპტიმალური რაოდენობის შენარჩუნება.

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

დაფინანსების წყაროების მოძიება, რაც ფაკულტეტს საშუალებას მისცემს, სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, შეინარჩუნოს მათი მაქსიმალური რაოდენობა; ფინანსურად წახალისოს მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე ნებისმიერი სტუდენტი, რაც აბიტურიენტებს უბიძგებს ჩვენს ფაკულტეტზე განაცხადის შემოტანისკენ.

დასაქმების ბაზრის და შესაბამისი კვალიფიკაციის თანამედროვე მოთხოვნილებების თანხვედრაში მოყვანის მიზნით ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სისტემატური განახლება. აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამათა ხანგრძლივობა, პროფესიული კარიერის შემდგომი ზრდისა და მათი პოპულარობიდან გამომდინარე.

ფაკულტეტის უნიკალური და სხვა ფაკულტეტებისგან განმასხვავებელი ნიშან-თვისების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის მოზიდვისათვის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერება სტუდენტთა შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მომზადების მიზნით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით რეგიონში არსებულ დაწესებულებებთან (სასამართლო, საფინანსო-საბანკო, საინფორმაციო,საჯარო სამსახურები) მჭიდრო ურთიერთობების დამყარება.

თანამედროვე და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა (პროფესორ-მასწავლებელთა კონტინგენტი, ლიცენზირებული და თანამედროვე ლიტერატურა, ინტერნეტი, სხვათა გამოცდილების გამოყენება და სხვ.).

პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური და სამეცნიერო დონის ამაღლება, მათი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის პირობების შექმნა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება, მივლინება წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში; პრაქტიკული საქმიანობით დაკავებულ სპეციალისტთა მოზიდვის მიზნით მენეჯმენტის გაძლიერება; აკადემიური თუ მოწვეული კონტინგენტის მუშაობის ეფექტურობის შემოწმება; პრიორიტეტების დადგენა და მათი კონტროლი.

სამაგისტრო პროგრამების შექმნა, რაც საშუალებას მოგვცემს საჭირო მიმართულებით ადგილობრივი კადრების მომზადებას.

აკადემიური და დამხმარე საშტატო ერთეულების რეალობასთან მიყვანა და მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტიურად გამოყენება, საჭიროებიდან გამომდინარე საშტატო ერთეულის გაუქმება ან ახლის დაშვება.

ეფექტიურობის მთავარი მაჩვენებლები:

ფაკულტეტზე სწავლის მსურველთა და ჩარიცხულ სტუდენტთა მზარდი რაოდენობის სტაბილიზაცია; სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრება; დასაქმების ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის ზრდა; პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-აკადემიური

ზრდა; ახალი მაღალკვალიფიცირებული კადრების მოზიდვა; ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების მომზადება.

მიზანი 2: სწავლების პრაქტიკული მხარის გაუმჯობესება, სტუდენტთა უზრუნველყოფა საუკეთესო საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით, აუდიტორიებით და სხვა საშუალებებით.

კორდინაცია: ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ზომიერი წინადადება: უახლოეს პერიოდში, კერძოდ 3-5 წლის განმავლობაში მიღებული უნდა იქნას ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ სალექციო კურსი ნათლად გამოხატავდეს პრაქტიკული მეცადინეობის მხარეს, ეს საშუალებას მოგვცემს სწავლებაში დავნერგოთ უახლოესი სასწავლო მეთოდები და ტექნოლოგიები, გაუმჯობესდეს სწავლების მატერიალური უზრუნველყოფა.

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

უნდა გაუჯობდეს სწავლების ვიზუალური მხარე, კერძოდ ინტერნეტი, პროექტორი და სხვ.

პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები სავალდებულო დისციპლინებში უნდა ჩატარდეს იმ გარემოში ან ისეთი მონაცემებით, რომლებიც მაქსიმალურად ახლოს არიან რეალობასთან და მათთვის უნდა განხორციელდეს ტექნიკური დახმარება.

პროფესორ-მასწავლებლებს უნდა მიეცეს პროფესიული კვალიფიკაციის ზრდისა და თანამედროვე სწავლების მეთოდების გაცნობის საშუალება.

უნდა დაინერგოს სტუდენტებისათვის დამატებითი სალექციო და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარების მეთოდი.

ყველა აუდიტორია უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სწავლების მაქსიმალურად ეფექტიურად წარმართვას.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები:

5 წლის განმავლობაში ყველა აუდიტორია სწავლებისათვის საჭირო ტექნიკით აღიჭურვება; ფაკულტეტზე დასაქმებულ ყველა პროფესორ-მასწავლებელს საშუალება მიეცემა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო კურსის შინაარსის განვითარებაში, დაესწრონ სემინარებს, კონფერენციებს და სხვა ღონისძიებებს, რათა გაიცნონ სწავლების მეთოდების და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევები.

მიზანი 3: მაღალი კვალიფიკაციისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე კადრების მოზიდვა და შენარჩუნება.

კორდინაცია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ზომიერი წინადადება: უახლოეს პერიოდში, 1-2 წლის განმავლობაში უნდა მოგვარდეს პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური კვალიფიკაციის საკითხი უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე; ფაკულტეტისათვის პერსპექტივაში საჭირო კადრების მომზადება და მათი შემდგომი მეცნიერული ზრდის საშუალების გაფართოება.

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

ფაკულტეტის მმართველობამ თავის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობად უნდა ჩათვალოს კადრების აღზრდა, მოზიდვა და მისი შემდგომი მეცნიერული ზრდა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდას და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მენეჯმენტს.

იმ სალექციო კურსის გასაძღოლად, რომელშიც ადგილზე არ არის სათანადო კადრი, მოწვეული უნდა იქნას ამ დარგის წამყვანი სპეციალისტი სხვა სასწავლო დაწესებულებიდან.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები:

აკადემიური პერსონალის წინსვლა მეცნიერებაში და პედაგოგიაში; ნებისმიერ დისციპლინაში სათანადო სპეციალისტების ფართო არჩევანი;

მიზანი 4: ყურადღების გამახვილება სტუდენტთა პიროვნული აღზრდისა და განვითარების პროგრამებზე.

კორდინაცია: დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ზომიერი წინადადება: უახლოეს პერიოდში, 1-2 წლის განმავლობაში შემუშავებული და დანერგული იქნას პროგრამა სტუდენტთა შორის ლიდერობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და პროფესიონალი გადაწყვეტილებების მიღების შესახებ (განვითარების ინდივიდუალური პროგრამა, სამეცნიერო კონფერენციები, სპორტული თამაშები და კლუბები, საზოგადოებრივი სამუშაო).

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

სტუდენტთა არასავალდებულო ან არასაკადემიო პროგრამებში მონაწილეობის წახალისება. ლიდერობისა და პროფესიონალი ეთიკის სასწავლო პროგრამის განვითარება.

წარმატებულ სტუდენტთა წახალისება და ყურადღების გამახვილება მათი ლიდერობის უნარ-ჩვევებზე.

ხაზგასმა ლიდერობის უნარ-ჩვევებისა და წარმატებული კარიერის შექმნის თანხვედრაზე.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები:

სტუდენტთა შორის პროფესიული ზრდისაკენ სწრაფვა და ლიდერობის, როგორც პროფესიონალიზმის განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობის აღქმა.

მიზანი 5: ისეთი ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გაზრდის ფაკულტეტის ფინანსურ შემოსავალს და ხელს შეუწყობს სწავლისა და სწავლების უკეთეს ორგანიზებას:

კორდინაცია: ფაკულტეტის დეკანი

ზომიერი წინადადება: ფაკულტეტის შემოსავლის გაზრდა არამარტო სტუდენტთა და მსმენელთა გადასახადის ხარჯზე, არამედ სხვა წყაროებიდან (გრანტები, სტიპენდიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, შემოწირულობანი).

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერება, რაც საშუალებას მოგვცემს მონაწილეობა მივიღოთ სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსებში.

ფაკულტეტის რესურსების გადანაწილება პრიორიტეტულ და გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებზე.

სპეციფიკური კამპანიის დაწყება იმისათვის, რომ მოვიპოვოთ დაფინანსება საერთაშორისო და სამამულო ორგანიზაციებიდან.

ფაკულტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულთაგან მზრუნველთა საბჭოს შექმნა.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები:

ფაკულტეტის ბიუჯეტის ზრდა

მიზანი 6. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ღირებულებების გაძლიერება, რათა ფაკულტეტის მთლიანი შემადგენლობა თავს გრძნობდეს კეთილმოსურნე გარემოში; ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება.

კორდინაცია: ფაკულტეტის დეკანატი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ზომიერი წინადადება 6.1: ყურადღების გამახვილება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცია: სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა, ერთიანობის განცდა, უნივერსიტეტში თუ საკუთრივ ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული ტრადიციების პატივისცემა.

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

ისეთი საინფორმაციო გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიღწევების შესახებ.

ყველა ზომის მიღება იმისათვის, რომ შეიქმნას ერთიანობის განცდისა და ტრადიციების დაფასების გარემო.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები:

არაკადემიური პროგრამების შექმნა.

ზომიერი წინადადება 6.2: ფაკულტეტის მმართველობის მობილიზირება დამოუკიდებელი მენეჯმენტისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით.

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

ყოველკვირეული შეკრებების ჩატარება საჭირობოროტო საკითხთა განხილვის მიზნით.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები:

კრებები ტარდება განრიგის მიხედვით, გადაწყვეტილებები კი ტარდება ცხოვრებაში.

ზომიერი წინადადება 6.3: გულწრფელობის, პატივისცემის, ნდობის გარემოს შექმნა ფაკულტეტის პერსონალსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის.

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

ინივერსიტეტის აკადემიური, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა დანერგვა და გატარება.

ფაკულტეტზე ღია მენეჯმენტის წარმართვა და ინფორმაციის მიწოდება ზემდგომისათვის.

დეკანის მიერ "ღია კარის" პოლიტიკის წარმოება.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები.

ფაკულტეტზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

მიზანი 7. სავალდებულო და ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც ეხება ჩვენ დარგს და განათლების განვითარების მიმართულებას.

კორდინაცია: ფაკულტეტის დეკანატი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ზომიერი წინადადება 7.1: ინფორმაციის მოზიდვისა და შეკრების მეთოდების გაუმჯობესება საგანმანათლებლო პროგრამებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებათა თანხვედრის მიზნით.

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი; მოპოვებული მონაცემების შეფასებისა და შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით სათანადო კომისიის შექმნა.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები:

კომისიის მუშაობის შედეგების დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამებში და პროგრამათა ხანგრძლივობის ოპტიმიზაცია.

ზომიერი წინადადება 7.2: ფაკულტეტზე დასაქმებული პედაგოგების ჩაბმა დარგის მუშაობაში, მათი პრფესიონალური დონის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მიზნის მიღწევისა და შესრულების სტრატეგია:

ფაკულტეტის იმ კურსდამთავრებულებებისაგან, რომლებიც კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობენ, საბჭოს ჩამოყალიბება და მათგან ინფორმაციის მიღება დარგის განვითარების მიმართულებებისა და სტრატეგიის შესახებ; ამა თუ იმ დარგის ფარგლებში სხვა ფაკულტეტებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებთან აკადემიური და სტუდენტური პერსონალის გაცვლითი პროგრამების დანერგვა და ამ პროცედურის ხელმისაწვდომობა.

ეფექტურობის მთავარი მაჩვენებლები:

რეალური მონაცემების დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამებში და მათი მაქსიმალურად გამოყენება.

ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები:

1. კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის აქტუალური პრობლემების კვლევა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზებით აღდგენის შესაძლებლობათა სამართლებრივი დასაბუთება;
2. მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა;
3. თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების, უსაფრთხოების პრობლემებისა და კულტუროლოგიურ-სოციალურ ასპექტების შესწავლა-ანალიზი.

--- მომდევნო 3 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საკანონმდებლო დინამიურობის, ცვლილებების თანმდევნი ანალიტიკურ და კვლევით მუშაობას. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის, ისეთი აქტუალური სამართლებრივი პრობლემატიკის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, როგორცაა: საქართველოს იურისდიქციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო სრულყოფა; საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების სამართლებრივი საფუძვლების მოძიება; ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი კვლევა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები; ერთა თვითგამორკვევის პრობლემები თანამედროვე საერთაშორისო სამართალში.

--- 2008-2010 წწ შესწავლილი და გაანალიზებული იქნება ჩვენი რეგიონის ინვესტიციურ-სამშენებლო ბაზისა და კაპიტალური მშენებლობის განვითარების, აგრარულ სექტორში ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ორგანიზაციული სრულყოფის, საბიუჯეტო შემოსავლებისა და გასავლების ფორმირების, ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები. კომპლექსურად დამუშავდება ამ პრობლემების ეკონომიკური, სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ეკონომიკურ კრიზისის ანატომიის კვლევას, რათა სწორი მეცნიერული გათვლები მოხდეს

საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და საფინანსო სფეროებში მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების პრევენციისთვის.

სამეცნიერო-კვლევის კონკრეტული მიმართულებები:

- _ ეკონომიკური, ეკოლოგიური, სასურსათო უსაფრთხოება;
- _ სოციალური უსაფრთხოება და დასაქმება;
- _ ეკონომიკური ზრდა გარდამავალ პერიოდში;
- _ საექსპორტო პოტენციალი და საგარეო ბაზარზე დამკვიდრება;
- _ ბიზნესის სოციალური პასიუხის მგებლობა;
- _ სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა;
- _ ეკაუტინგი ბიზნესში;
- _ ფინანსური პოლიტიკის პრობლემები ტრანზიტული ეკონომიკის პირობებში;
- _ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები;
- _ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა;
- _ სართაშორისო საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო ურთიერთობები;
- _ ფინანსური მენეჯმენტი;
- _ სახელმწიფო ვალის მართვა;
- _ ინვესტიციები;
- _ ეკონომიკური დოქტრინები;
- _ ეკონომიკური კრიზისები;
- _ საბანკო მენეჯმენტი;
- _ სადაზღვევო მენეჯმენტი;
- _ სტრატეგიული მარკეტინგი;

--- გამომდინარე იქიდან, რომ სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო პოტენციალი ჯერ კიდევ ასამაღლებელია, საუკეთესო შემთხვევაში 5 წლის შემდეგ დავიწყებთ აჭარის მიმდებარე რეგიონის (ართვინის, რიზესა და ტრაპიზონის ვილაეები) პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სოციალური, კულტურული და სხვა ასპექტების მეცნიერულ კვლევას, რათა ზედმიწევნით ადეკვატური ინფორმაცია მივაწოდოთ მეზობელ სახელმწიფოში სამუშაოდ თუ ბიზნესის კეთებისთვის გასულ ათასობით ჩვენს თანამემამულეს. პარალელურად სამთავრობო ინსტიტუტებთან მჭიდრო კონტაქტის მეშვეობით შევეცდებით გმოვთვალოთ ყველა ის შესაძლებელი საფრთხე და გამოწვევა, რაც მეზობელ ქვეყანაში მოქმედ ექსტრემისტულ თუ რევანშისტულ ძალებისგან მომდინარეობს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა "ჩვენებურების" ცხოვრების სოციალ-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლასა და კომპლექსურ ანალიზს, რაც პერსპექტივაში მათი ქართულ კულტურულ სამყაროში ნაწილობრივ რეინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

აკადემიური მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები

I. ეკონომიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია მოიცავს ეკონომიკური სპეციალობების მისიას, სტრატეგიულ მიზანს, სპეციალისტთა პროფესიული მიმზიდველობის ძირითად მიმართულებებს, ურთიერთობებს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. სწავლებისა და პრაქტიკის, უნარ-ჩვევების ხარისხის უწყვეტი ამაღლების შესაძლებლობას და საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესების პირობებს.

დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების კონცეპტუალური მიდგომები:

მისია: კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადება: „საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე“, „საბუღალტრო და საგადასახადო საქმე“, „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“, „ტურიზმი“, სპეციალობებში.

სწავლების დონეები-მოკლე ვადიანი კურსები, პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა

სტრატეგიული მიზანი: ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება. აკადემიური, პროგრამული, ინფორმაციული და კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება, შეფასების კრიტერიუმების ოპტიმიზაცია, სწავლისა და სწავლების პროცესების რაციონალური პროგნოზირება.

განვითარების ძირითადი პრიორიტეტები:

1. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ეკონომიკური ურთიერთობებისა და პრინციპების, ეკონომიკური კრიზისებისა და განვითარების სწავლების გააქტიურება.
2. ეკონომიკური მეცნიერებისადმი ინდივიდუალური და სამეცნიერო-სასწავლო პროცესისადმი კომპლექსური მიდგომის ატმოსფეროს დამკვიდრება.
3. სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფი მატერიალური ბაზის განვითარების წინაპირობების შემუშავება.
4. ძირითად საგანმანათლებლო პროგრამებში მოდულის სტრუქტურის ქმედითობის ამაღლება.
5. შრომით ბაზართან კორპორაციული პარტნიორობის კულტურის ამაღლება სპეციალისტთა დასაქმების გარანტიების შექმნის მიზნით.
6. დისტანციური სწავლების (განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამების) სასწავლო-მეთოდური და პროგრამული კომპლექსის ფორმირება.
7. პროფესორ-მასწავლებელთა სტიმულირება კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად.
8. დეპარტამენტის როლის (მისიის) გამოკვეთა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ეფექტური ღონისძიებების შემუშავების საქმეში.
9. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა სწავლების ყველა საფეხურზე
10. შრომითი ბაზრის ყოველწლიური შესწავლა:
 - _ შრომის ბაზარზე სპეციალისტთა მოთხოვნილების შესწავლა;
 - _ სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
 - _ მეორადი სპეციალობების არჩევანის შესაძლებლობების გაფართოება; სპეციალისტთა დასაქმების მიზნით;
 - _ სპეციალისტთა შრომის ბაზარზე ორიენტირების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ბიზნესსუბიექტებთან სემინარების მოწყობა;
11. პარტნიორული ურთიერთობები :
 - _ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და კვლევითი პოტენციალის ჩართვა ერთობლივ კვლევით, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში;
 - _ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების თანამშრომლობის გაფართოება ირლანდიის ბიზნესისა და ელექტრო-ტექნიკურ ინსტიტუტთან, რომელიც იქნება დისტანციური სწავლების პირველი მოდელი და გაიცემა ერთობლივი დიპლომი.
12. სტუდენტთა, დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი კონფერენციების, სიმპოზიუმების, ოლიმპიადების, პრეზენტაციებისა და სხვა პრაქტიკულ-სამეცნიერო ღონისძიებების ჩართვა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, ეკონომიკური ურთიერთობების უნივერსიტეტთან, აგრარული უნივერსიტეტთან, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან, ქალაქისა და რაიონების მუნიციპალიტეტებთან.
13. პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების შეძენისათვის პარტნიორების მოძიება:
 - _ სახელმწიფო სტრუქტურები (სამინისტროები);
 - _ მუნიციპალიტეტები (რაიონული და საქალაქო);
 - _ ქ. ბათუმის მერია;
 - _ საბითუმო და საცალო ობიექტები;
 - _ მომსახურების სფეროს კომპანიები;
 - _ სავაჭრო და დიპლომატიური წარმომადგენლობები;
 - _ ფერმერული მეურნეობები;

_ სამეწარმეო სუბიექტები;

14. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა

II. სამართალმცოდნეობის დეპარტამენტი

1. სწავლების გაუმჯობესება- პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით

- მუდმივმოქმედი იურიდიული კლინიკების შექმნა
- მჭიდრო ურთიერთობის დამყარება შემდეგ დაწესებულებებთან:
 - ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო;
 - ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
 - გ) ბათუმის საქალაქო სასამართლო;
 - დ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- იურისტის ფუნდამენტური პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საგანმანათლებლო პროგრამას დაემატება საგანი "იურიდიული ეთიკა," რომელიც ითვალისწინებს დარგობრივ ეთიკებს _ მოსამართლის, ადვოკატის გამომძიებლის, პროკურორის, ნოტარიუსის.
 - პრაქტიკოსი იურისტების მოწვევა
 - საიმიტაციო სასამართლო პროცესში სტუდენტთა სავალდებულო მონაწილეობა.
 - კრიმინალისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის შექმნა.
 - ინტერაქტიური სწავლების მეთოდების დანერგვა

2. სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ქვეყნის სამართლებრივი პოლიტიკის გაცნობის მიზნით საჯარო ლექციების ჩატარება აჭარის რაიონებსა და სოფლებში საქვეყნო და რეგიონული კანონმდებლობის ახსნა-განმარტებებისათვის.

3. ზრუნვა კონტინგენტზე -

- ა) გასვლები სკოლებში;
- ბ) საგანმანათლებლო ოლიმპიადების მოწყობა თამაზე- "საქართველოს კონსტიტუცია";
- გ) სკოლის მოსწავლეთა ჩართვა საიმიტაციო სასამართლოებში პროცესებში;

4. დეპარტამენტის ტექნიკური აღჭურვა

III. სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

დეპარტამენტის მიზანია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა სტრუქტურაში შემავალი ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისა და უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვაში. დეპარტამენტი, ასევე შესთავაზებს მსურველებს საბაზრო მოთხოვნილებებზე ორიენტირებული პროფესიების საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც ერთი მხრივ იქნება უნივერსიტეტისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეიწყობს მოქალაქეთა ადაპტაციას ცვალებად შრომით ბაზართან და სოციალურ გარემოსთან.

დეპარტამენტში მოქმედებს შემდეგი პროგრამები:

საბაკალავრო - ჟურნალისტიკა (მიღევად რეჟიმში), საერთაშორისო ურთიერთობები;

სამაგისტრო - საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა

ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში შეიქმნება პროფესიული პროგრამები ჟურნალისტიკის, საარქივო-სამუზეუმო და საინფორმაციო მიმართულებით. ამ და არსებული პროგრამების წარმატებული მუშაობისათვის ამ ეტაპზე დეპარტამენტის ძირითადი მიზანია:

ა) შესაბამისი აკადემიური პერსონალის შერჩევა და მოზიდვა;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

დ) სწავლებისათვის პრაქტიკული ბაზის შექმნა;

ე) რეგიონში არსებულ მუზეუმებთან, არქივებთან და საინფორმაციო სამსახურებთან (ტელევიზია, რადიო, პრესა) ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება;